

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება).....	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება).....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება).....	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება).....	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება).....	10
4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა	10
4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა (გაგრძელება)	11
5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები	11
6. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	12
7. ქონება და აღჭურვილობა	13
8. აქტივები გამოყენების უფლებით.....	14
9. წინასწარ გაწეული ხარჯები	14
10. ფული და ფულის ექვივალენტები	14
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
12. მიღებული ავანსები	15
13. საიჯარო ვალდებულებები.....	15
14. შემოსავალი.....	16
15. საოპერაციო ხარჯები	16
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	17
17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება).....	18
17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება).....	19
17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება).....	20
17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება).....	21
18. პირობითი ვალდებულებები	21
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები.....	21

შპს “რესფონსაბილითი ჯორჯია”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება და აღჭურვილობა	7	219,095	220,907
აქტივები გამოყენების უფლებით	8	435,145	696,232
სულ გრძელვადიანი აქტივები		654,240	917,139
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გაწეული ხარჯები	9	22,138	73,155
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,147,064	216,635
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,169,202	289,790
სულ აქტივები		1,823,442	1,206,929
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		209,174	84,523
მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალი		199,256	124,651
სულ კაპიტალი		408,430	209,174
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	13	156,756	410,309
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		156,756	410,309
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	12	758,478	175,500
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	248,138	179,313
საიჯარო ვალდებულებები	13	251,640	232,633
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,258,256	587,446
სულ ვალდებულებები		1,415,012	997,755
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,823,442	1,206,929

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი




ს. ფრიზი

დირექტორი



ტ. ჰესე

დირექტორი



გ. ზუზბაია

20 სექტემბერი. 2024 წელი

5-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	14	4,214,652	2,643,960
საოპერაციო ხარჯები	15	(3,408,174)	(2,020,752)
საერთო მოგება		806,478	623,208
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(520,859)	(483,858)
საოპერაციო მოგება		285,619	139,350
ფინანსური ხარჯები		(43,681)	(34,093)
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		(42,682)	19,390
წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ზარალი)		-	4
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		199,256	124,651
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		199,256	124,651
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		199,256	124,651

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი  ს. ფრიჭი

დირექტორი  ტ. პესე

დირექტორი  გ. ზუზბაია

20 სექტემბერი. 2024 წელი

შპს „რესტონსაბილითი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	84,523	84,523
მოგება / (ზარალი)	-	124,651	124,651
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	124,651	124,651
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	209,174	209,174
მოგება / (ზარალი)	-	199,256	199,256
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	199,256	199,256
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	408,430	408,430

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



ს. ფრიჩი

დირექტორი



ტ. ჰესე

დირექტორი



გ. ზუზბაია

20 სექტემბერი, 2024 წელი

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები		
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	199,256	124,651
კორექტირებები:		
ცვეთა	396,376	246,004
ფინანსური ხარჯი	43,681	34,093
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები	639,313	404,748
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		
ცვლილებები საბრუნავ აპიტალში		
წინასწარ გაწეული ხარჯების (ზრდა)/შემცირება	51,017	(33,830)
სავაჭრო ვალდებულებებისა და მიღებული ავანსების (ზრდა)/შემცირება	651,802	(97,567)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადები	1,342,132	273,351
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	1,342,132	273,351
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები		
ქონებისა და აღჭურვილობის შეძენა	(133,476)	(152,168)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(133,476)	(152,168)
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები		
ფინანსური ხარჯის დაფარვა	(43,681)	(34,093)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(234,546)	(208,900)
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	(278,227)	(242,993)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	216,635	338,445
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	930,429	(121,810)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	1,147,064	216,635

ხელმომწერი პირები:

დირექტორი



ს. ფრიჩი

დირექტორი



ტ. ჰესე

დირექტორი



გ. ზუზბაია

20 სექტემბერი. 2024 წელი

5-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რესფონსაბილითი ჯორჯია („კომპანია“) დაარსდა 2019 წლის 12 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სრულად ეკუთვნის მის მშობელ კომპანიას, რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.-ს, რომელიც მდებარეობს ციურისში, შვეიცარია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.-ს აქციების 92.9% წილს ფლობდა ემ ენდ ჯი ეფ.ი ლიმიტედი. ემ ენდ ჯი ეფ.ი ლიმიტედის საბოლოო მფლობელი იყო ემ ენდ ჯი ფი.ელ.სი, რომლის აქციებიც ივაჭრება გაერთიანებული სამეფოს საფონდო ბირჟაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.-ს აქციების 100% წილს ფლობს ემ ენდ ჯი ეფ.ი ლიმიტედი. ემ ენდ ჯი ეფ.ი ლიმიტედის საბოლოო მფლობელი არის ემ ენდ ჯი ფი.ელ.სი, რომლის აქციებიც ივაჭრება გაერთიანებული სამეფოს საფონდო ბირჟაზე.

ძირითადი საქმიანობა. შპს რესფონსაბილითი ჯორჯია დანიშნულია რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.-ს მიერ მის ბიზნეს საქმიანობაში დასახმარებლად, რეგულარულად საინვესტიციო კონსულტაციების გასაწევად: შპს რესფონსაბილითი ჯორჯია უზრუნველყოფს საინვესტიციო კონსულტაციებს რეგიონში და მის მიმდებარე ქვეყნებში არსებული კომპანიების შესახებ, სადაც ინვესტირდება ან იგეგმება ფინანსური ინსტრუმენტების ინვესტიცია.. გარდა ამისა, შპს რესფონსაბილითი ჯორჯია სთავაზობს სხვა შესაბამის მომსახურებას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.-ს მითითებების შესაბამისად, როგორცაა როგორცაა ტრანზაქციების მართვა და საოპერაციო პროცედურები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 28 ადამიანი ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 24 თანამშრომელი.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად, ისტორიული ღირებულების კონვენციის საფუძველზე, რომელიც მოდიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების გამოყენებით და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული (იხილეთ შენიშვნა 5) კომპანიის მიერ მიღებული ახალი და შესწორებული სტანდარტებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე საჭიროა მენეჯმენტისგან მიმართოს განსჯას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და შეფასებები გაკეთდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და მათი ეფექტი, გამჟღავნებულია შენიშვნა 4-ში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რაც ასევე კომპანიის ფუნქციური ვალუტაა.

თანხები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის ის ვალუტა, რომელშიც კომპანია ოპერირებს ძირითად ეკონომიკურ გარემოში. კომპანიის ფუნქციური ვალუტა და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

კომპანიის მიერ სხვა ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები, გარდა იმ ვალუტისა, რომელიც წარმოადგენს მისი ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას ("ფუნქციური ვალუტა"), აღირიცხება იმ სავალუტო კურსით, რომელიც მოქმედებდა ტრანზაქციის დროს. უცხოური ვალუტის ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კურსით, რომელიც მოქმედებდა საანგარიშგებო თარიღის დროს. დაუზუსტებელი ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაციისას და გარიგებების დარეგულირებისას წარმოქმნილი გაცვლითი სხვაობები დაუყოვნებლივ აღიარებულია მოგება-ზარალში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფინანსურ აქტივებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტის სალდოების კონვერტაციისთვის გამოყენებული კურსები იყო:

	<i>საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი</i>		
	<i>USD</i>	<i>EUR</i>	<i>CHF</i>
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.97	3.21
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88	2.93
საშუალო კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2.63	2.84	2.93
საშუალო კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2.91	3.07	3.05

ფინანსური აქტივები. კომპანია ფინანსური აქტივების აღრიცხვას აწარმოებს ფასს 9-ის მიხედვით. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივი შეიძლება კლასიფიცირდეს სამი კატეგორიად – "ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით", "ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით", "ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის საშუალებით". კომპანიამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი იყო საკმარისი კომპანიის ფინანსური აქტივებისთვის და დააკლასიფიცირა, როგორც "ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით".

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით. ეს აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგალითად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება) მაგრამ ასევე მოიცავს სხვა ტიპის ფინანსურ აქტივებს, სადაც მიზანია ამ აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ნაღდი ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. სახელშეკრულებო ნაღდი ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებია. ისინი თავდაპირველად აღიარდება როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათ შეძენას ან გამოშვებას და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვები აღიარებულია ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რეზერვის მატრიცის გამოყენებით სიცოცხლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის. ამ პროცესში ფასდება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ალბათობა. ამის შემდეგ ეს ალბათობა მრავლდება მოსალოდნელი ზარალის ოდენობაზე, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტისგან, რათა განისაზღვროს ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის. სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის.

3. მნიშვნელოვანი საღირცხოვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

რომლებიც ანგარიშგებულია წმინდად, ასეთი რეზერვები აღირიცხება ცალკე რეზერვების ანგარიშში და ზარალი აღიარებულია საოპერაციო ხარჯებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. დადასტურების შემთხვევაში, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება არ დაიფარება, ქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვის ანგარიშშიდან.

კომპანიის ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ნაღდ ფულს და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ნაღდი ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც ადვილად შეიძლება გარდაიქმნას ნაღდი ფულის განსაზღვრულ ოდენობად და მათ ღირებულებასთან დაკავშირებული რისკი უმნიშვნელოა. ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს ბანკში და დებიტორულ დავალიანებებს, რომელთა თავდაპირველი ვადა არის სამ თვეზე ნაკლები. ბანკში არსებული შეზღუდული ნაშთები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე მეტია, არ კლასიფიცირდება, როგორც ნაღდი ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფინანსური ვალდებულებები. კომპანია თავის ფინანსურ ვალდებულებებს ორ კატეგორიად ყოფს იმის მიხედვით, თუ რა მიზნით იქნა აღებული ვალდებულება: „ფინანსური ვალდებულება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით“ და „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. კომპანიამ თავისი ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ ელემენტებს: სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებები, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორე იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას გასდის ვადა ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიღების უფლებას მეორე მხარეს ამ აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ფინანსური აქტივის ნებისმიერი წილი, რომელიც რჩება კომპანიაში, აღიარდება, როგორც ცალკე აქტივი ან ვალდებულება.

ქონება და აღჭურვილობა. ქონება და აღჭურვილობა აღირიცხება ისტორიული ღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა ერიცხება აქტივის ნარჩენ ღირებულებას და მიზნად ემსახურება აქტივების ჩამოწერას მათი სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში. იჯარის კეთილმოწყობა ცვეთას ექვემდებარება საიჯარო პერიოდის განმავლობაში. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადებით:

ჯგუფი	სასარგებლო ვადა (წელი)
ქონება და აღჭურვილობა.	
ავეჯი და ინვენტარი	3
საინფორმაციო ტექნოლოგიების მოწყობილობები	3
იჯარის კეთილმოწყობა	საიჯარო პერიოდი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

რემონტთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება გაწევის დროს და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ქონებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ განისაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. როდესაც საბალანსო ღირებულება აღემატება სავარაუდო აღდგენის ღირებულებას, საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, მოგება-ზარალში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ქონებისა და აღჭურვილობის ცვეთის ხარჯი კორექტირებულია მომავალ პერიოდებში, რათა აქტივების გადასინჯული საბალანსო ღირებულება, გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სისტემატიურად განაწილდეს მის სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა, მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ განაწილდება.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა “აგროსილ” ღირებულებაზე. (მაგ. წმინდა დივიდენდები “აგროსილზე” შემადგენელი 5%-იანი დაკავებული გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება. რეალური გადახდის თარიღისა და იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც დივიდენდები გადაიხდება.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან – აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება მუხლში „გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა“ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ანგარიშგებაში “გროს” საფუძველზე და წარმოდგენილია ცალ-ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. თუ შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიმართ “გროს” თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

გადასახადები, გარდა მოგებისა. 2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადში, მოგების გადასახადის ჩათვლით და ყველა გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო გადახდა აღირიცხებოდა კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისად, საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები გაცხადებულია, როგორც „წინასწარ გადახდილი გადასახადი“ წინასწარ გაწეულ ხარჯებში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის მფლობელის მიერ. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შემოსავალი.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის უდიდესი ნაწილი მიღებულია რესფონსაბილითი ინვესტიციების ეი.ჯი.-სთვის გაწეული მომსახურებიდან. შპს რესფონსაბილითი ჯორჯიას მიერ გაწეული ყველა მომსახურებისთვის, რესფონსაბილითი ინვესტიციების ეი.ჯი. იხდის კვარტალურ მომსახურების ღირებულებას.

თანხების გადანაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

შპს რესფონსაბილითი ჯორჯიას მომსახურების საფასური განისაზღვრება “ხარჯებს პლუს მეთოდის” მიხედვით, რომელიც არის საერთაშორისო მიღებული სტანდარტი (OECD-ის სატრანსფერო ფასების სახელმძღვანელო მულტინაციონალური საწარმოებისა და საგადასახადო ადმინისტრაციებისთვის).

ამ მხრივ, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს რესფონსაბილითი ჯორჯიას მიერ რესფონსაბილითი ინვესტიციების ეი.ჯი.-ს მიმართ დაკისრებული მომსახურების საფასური შეადგენდა ამ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯებს პლუს 5% “გროს მარჟა”.

2023 წელს გარე კონსულტანტების მიერ მომზადებული სატრანსფერო ფასების დოკუმენტაციის საფუძველზე, მენეჯმენტმა გადაწყვიტა არსებული მომსახურების საფასურის კორექტირება 5%-იანი განაკვეთიდან „მედიანურ“ 7%-იან განაკვეთამდე 2023 წლის 01 იანვრიდან. მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისი დანართი შესაბამისად იქნა ადაპტირებული.

ამ მხრივ, 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, შპს რესფონსაბილითი ჯორჯიას მიერ რესფონსაბილითი ინვესტიციების ეი.ჯი.-ს მიმართ დაკისრებული მომსახურების საფასური შეადგენდა ამ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯებს პლუს 7% “გროს მარჟა”.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი მიედინება კომპანიაში და შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. შემოსავალი, მასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ოპერაცია შესრულებულია.

პერსონალის ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხულია იმ წელს, როდესაც მასთან დაკავშირებულ მომსახურებას გასწევს კომპანიის თანამშრომლები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

დებულებები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გადინება და ასეთი ვალდებულებების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება ნაკლებად სავარაუდოა.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმოშობის მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც სუბიექტს არ აქვს რეალური ალტერნატივა ამ ვალდებულების შესრულების გარდა. სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა შემდეგიდან:

(ა) ხელშეკრულება (მისი აშკარა ან ნაგულისხმევი პირობებით);

(ბ) კანონმდებლობა; ან

(გ) სხვა სამართლებრივი მოქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს სუბიექტის ქმედებებიდან, სადაც:

(ა) წარსული პრაქტიკის დადგენილი ნიმუშით, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადებით, სუბიექტმა მიუთითა სხვა მხარეებს, რომ მიიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, სუბიექტმა შექმნა ამ სხვა მხარეების ლეგიტიმური მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და მოვლენები ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც არ ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღის მდგომარეობით, აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ ისინი მატერიალურია.

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებებს და ვარაუდებს მომავალთან დაკავშირებით. შეფასებები და განსჯა მუდმივად ფასდება ისტორიული გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინების, რომლებიც ითვლება გონივრულად მოცემულ პირობებში. მომავალში, ფაქტობრივი გამოცდილება შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და ვარაუდებისგან. ქვემოთ განხილულია შეფასებები და ვარაუდები, რომლებიც მნიშვნელოვან რისკს შეიცავს, რომ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მატერიალური კორექტირება გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით – ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ქონებისა და აღჭურვილობის სასარგებლო მომსახურების ვადები. ქონებასა და აღჭურვილობაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. დამატებითი დეტალები, მათ შორის საბალანსო ღირებულებები, მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

მიღებული ახალი ან შესწორებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

კომპანიამ მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, არ იქნა მიღებული.

ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, ან არ იქნა მიღებული

ცვლილება ფასს 16-ში – იჯარა გაყიდვით და უკუიჯარით

ეს ცვლილებები მოიცავს ფასს 16-ში გაყიდვისა და იჯარის ოპერაციების მოთხოვნებს, რათა განმარტოს, თუ როგორ აღრიცხავს ერთეული გაყიდვასა და იჯარას ტრანზაქციის თარიღის შემდეგ. გაყიდვისა და დაბრუნების ტრანზაქციები, სადაც ზოგიერთი ან ყველა საიჯარო გადახდა არის ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, დიდი ალბათობით გავლენას მოახდენს.

ცვლილება ბასს 1-ში – გრძელვადიანი ვალდებულებები შეზღუდვებით

ეს ცვლილებები განმარტავს, თუ როგორ მოქმედებს პირობები, რომლებსაც ერთეული უნდა შეასრულოს საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ვალდებულების კლასიფიკაციაზე. ცვლილებები ასევე მიზნად ისახავს საწარმოს მიერ მოცემული პირობების დაქვემდებარებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჯობესებას.

ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში - მიმწოდებლის ფინანსები

ეს ცვლილებები მოითხოვს გამჟღავნებას, რათა გაზარდოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობა და მათი გავლენა ერთეულის ვალდებულებებზე, ფულადი სახსრების ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკზე ზემოქმედებაზე. გამჟღავნების მოთხოვნები არის IASB-ის პასუხი ინვესტორების შემფოთებაზე, რომ ზოგიერთი კომპანიის მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმება არ არის საკმარისად თვალსაჩინო, რაც ხელს უშლის ინვესტორების ანალიზს.

ცვლილებები ბასს 21-ში - შეუცვლელობის ნაკლებობა

ერთეულზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ არის შეცვლილი სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა ცვალებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

6. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის მიხედვით, დაკავშირებული მხარეები და მათთან დაკავშირებული ტრანზაქციები მოიცავს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ კომპანიას, ან იმყოფებიან კომპანიის კონტროლის ქვეშ, ან იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (ეს მოიცავს მშობლებს, შვილობილებს და თანაშვილობილებს); აქვთ კომპანიის მიმართ მნიშვნელოვანი გავლენა; და აქვთ კომპანიის მიმართ ერთობლივი კონტროლი;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითადი მენეჯმენტის წევრებს;

გ) ახლო ოჯახის წევრებს ნებისმიერი პირისა, რომელიც მითითებულია "ა)" ან "ბ)" ქვეპუნქტებში;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოებს, რომლებსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ან რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის ძალა პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის "ბ)" ან "გ)" ქვეპუნქტებში მითითებულ ნებისმიერ პირს.

დაკავშირებულ მხარეთა პოტენციური კავშირის დასადგენად ყურადღება ექცევა გარიგების და ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციის დეტალები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

		2023		2022	
	კავშირის სახე	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
მიღებული ავანსები					
რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი	მფლობელი	758,478	758,478	175,500	175,500
შემოსავალი					
რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი	მფლობელი	4,214,652	4,214,652	2,643,960	2,643,960

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარი)

7. ქონება და აღჭურვილობა

ქონებისა და აღჭურვილობის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწყობილობები	ავეჯი და ინვენტარი	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	39,698	100,966	-	140,664
შემოსვლა	65,555	31,163	55,450	152,168
2022 წლის 31 დეკემბერს	105,253	132,129	55,450	292,832
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთის ხარჯი 2022 წლის 1 იანვარს	(3,056)	(1,123)	-	(4,179)
დარიცხული ცვეთა წლის განმავლობაში	(27,457)	(39,790)	(499)	(67,746)
2022 წლის 31 დეკემბერს	(30,513)	(40,913)	(499)	(71,925)
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 1 იანვარს	36,642	99,843	-	136,485
2022 წლის 31 დეკემბერი	74,740	91,216	54,951	220,907
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	105,252	132,130	55,450	292,832
შემოსვლა	39,774	92,333	1,369	133,476
2023 წლის 31 დეკემბერს	145,026	224,463	56,819	426,308
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთის ხარჯი 2023 წლის 1 იანვარს	(30,513)	(40,913)	(499)	(71,925)
დარიცხული ცვეთა წლის განმავლობაში	(45,029)	(69,136)	(21,123)	(135,288)
2023 წლის 31 დეკემბერს	(75,542)	(110,049)	(21,622)	(207,213)
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	74,739	91,217	54,951	220,907
2023 წლის 31 დეკემბერს	69,484	114,414	35,197	219,095

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ქონება და აღჭურვილობა დატვირთული გირაოთი ან დაყადაღებული.

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

8. აქტივები გამოყენების უფლებით

აქტივები გამოყენების უფლებით მოიცავს საოფისე სივრცეს. მოძრაობა აქტივებში გამოყენების უფლებით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მერვე სართულის საოფისე სივრცე	მესამე სართულის საოფისე სივრცე	სულ
ღირებულება			
2022 წლის 1 იანვარს	414,491	-	414,491
შემოსვლა	-	382,813	382,813
მოდიფიკაცია	105,193	-	105,193
2022 წლის 31 დეკემბერს	519,683	382,813	902,496
შემოსვლა	-	-	-
მოდიფიკაცია	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერს	519,683	382,813	902,496
დაგროვილი ცვეთა			
2022 წლის 1 იანვარს	28,006	-	28,006
ცვეთა წლის განმავლობაში	140,516	37,742	178,258
2022 წლის 31 დეკემბერს	168,522	37,742	206,264
ცვეთა წლის განმავლობაში	131,685	129,402	261,087
2023 წლის 31 დეკემბერს	300,208	167,144	467,351
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერს	351,161	345,071	696,232
2023 წლის 31 დეკემბერს	219,476	215,669	435,145

9. წინასწარ გაწეული ხარჯები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინასწარ გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები (მოკლევადიანი)	14,257	67,406
წინასწარ გადახდილი გადასახადი	7,881	5,749
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	22,138	73,155

10. ფული და ფულის ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
თანხა მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	1,147,064	215,298
თანხა მიმდინარე ანგარიშებზე დოლარში	-	1,337
თანხა მიმდინარე ანგარიშებზე ევროში	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,147,064	216,635

მოთხოვნისთანავე საბანკო ნაშთები განთავსებულია ქართულ ბანკში, რომელსაც Fitch-ის რეიტინგული სისტემით B+ რეიტინგი აქვს მინიჭებული. ყველა ანგარიშზე არსებული ნაშთები არის არასაპროცენტო.

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დარიცხული სავაჭრო ვალდებულებები (მოკლევადიანი)	14,695	18,973
დარიცხული საპენსიო ვალდებულებები	-	143
ანარიცხები:		
გადასახდელი ბონუსები	215,000	105,000
გარე მხარეები	17,627	15,593
გადასახდელი შვებულების ანაზღაურება	816	39,604
სულ	248,138	179,313

გადასახდელი ბონუსები არის ანარიცხების ნაწილი, რომელიც დამტკიცებულია მმართველი პირების მიერ და რომლის ოდენობაც დაკავშირებულია კომპანიის ფინანსურ მიღწევებთან.

12. მიღებული ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.-სგან მიღებული ავანსები (დაკავშირებული მხარე)	758,478	175,500

რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.-სგან მიღებული ავანსები შედგება წინასწარ მიღებული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულებისგან.

13. საიჯარო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი	156,756	410,309
მოკლევადიანი	251,640	232,633
	408,396	642,942
წლის დასაწყისში	642,942	363,836
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	382,813
მოდIFIკაცია წლის განმავლობაში	-	105,193
ფინანსური ხარჯი	43,681	34,093
გადახდები წლის განმავლობაში	(270,800)	(191,807)
შემცირება ავანსებით	-	(5,525)
ვალუტის კურსის სხვაობით	(7,427)	(45,661)
გამოწმებული მოგება ან ზარალი		(45,661)
წლის ბოლოს	408,396	642,942

საიჯარო ვალდებულებები წარმოადგენს საოფისე სივრცის იჯარის ხელშეკრულებებს. იჯარის ხელშეკრულებების ვადები ძირითადად 1-დან 3 წლამდეა. საიჯარო ვალდებულებების მოდიფიკაციები გამოწვეულია იჯარის ხელშეკრულების ვადის ცვლილებით.

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

14. შემოსავალი

კომპანიამ თავისი შემოსავალი გამოიმუშავა მშობელი კომპანიისთვის (რესფონსაბილითი ინვესტმენტს ეი.ჯი.) გაწეული შემდეგი საქმიანობიდან: საინვესტიციო შესაძლებლობების ძიება ცენტრალური აზიის რეგიონში, “დიუ დილიჯენსის” განხორციელება, საინვესტიციო წინადადების მომზადება, ინვესტიციების მონიტორინგი ინვესტიციების მიმღები კომპანიებისა და შესაბამისი მმართველი ორგანოების მხარდაჭერა საქიროების შემთხვევაში და ინვესტიციების შესახებ ანგარიშგება.

15. საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
სახელფასო ხარჯი	(2,326,677)	(1,373,374)
საინვესტიციო კონსულტაცია	(40,963)	-
ბონუსები	(265,346)	(136,037)
ცვეთის ხარჯი	(396,376)	(246,004)
საპენსიო შენატანები	(59,812)	(34,906)
სამივლინებო ხარჯი	(172,897)	(157,290)
თანამშრომელთა სარგებელის ხარჯი	(49,887)	(30,597)
ტრენინგის ხარჯი	(15,722)	-
რეკრუტინგის ხარჯი	(5,113)	(15,650)
დაზღვევის ხარჯი	(75,383)	(26,118)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(777)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3,408,174)	(2,020,752)

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
სახელფასო ხარჯი	(360,661)	(357,285)
სხვა კომპენსაცია	(22,950)	-
ბონუსები	(32,426)	(45,321)
ქირა და მასთან დაკავშირებული ხარჯი	(34,912)	(15,323)
საკონსულტაციო ხარჯი	(36,476)	(40,374)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(33,434)	(25,556)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(520,859)	(483,858)

შპს „რესფონსაბილიტი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

მენეჯმენტი მიიჩნევს, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,147,064	216,635
სულ ფინანსური აქტივები	1,147,064	216,635
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	248,138	179,313
საიჯარო ვალდებულებები	408,396	642,942
სულ ფინანსური ვალდებულებები	656,534	822,255

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება)

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმაღლივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის შესახებ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, და კლასიფიცირებულია 1-დან 3-მდე დონეებით, იმის მიხედვით, თუ რამდენად შეინიშნება სამართლიანი ღირებულება:

	2023			
	სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,147,064	-	-	1,147,064
სულ ფინანსური აქტივები	1,147,064	-	-	1,147,064
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	248,138	-	-	248,138
საიჯარო ვალდებულებები	408,396	-	-	408,396
სულ ფინანსური ვალდებულებები	656,534	-	-	656,534

	2022			
	სამართლიანი ღირებულების შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:			
	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	216,635	-	-	216,635
სულ ფინანსური აქტივები	216,635	6,187,556	32,812,439	216,635
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	179,313	-	-	179,313
საიჯარო ვალდებულებები	642,942	-	-	642,942
სულ ფინანსური ვალდებულებები	822,255	-	-	822,255

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ,
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად,
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში,
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ფინანსური აქტივები შედგება მხოლოდ ფულისა და ფულის ეკვივალენტებისგან, კომპანიამ არ შეაფასა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,147,064	-	-	-	1,147,064
სულ ფინანსური აქტივები	1,147,064	-	-	-	1,147,064
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	248,138	-	-	-	248,138
საიჯარო ვალდებულებები	251,640	156,756	-	-	408,396
სულ ფინანსური ვალდებულებები	499,778	156,756	-	-	656,534
ლიკვიდურობის პოზიცია	647,286	(156,756)	-	-	490,530

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 და მეტე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	216,635	-	-	-	216,635
სულ ფინანსური აქტივები	216,635	-	-	-	216,635
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	179,313	-	-	-	179,313
საიჯარო ვალდებულებები	232,633	410,309	-	-	642,942
სულ ფინანსური ვალდებულებები	411,946	410,309	-	-	822,255
ლიკვიდურობის პოზიცია	(195,311)	(410,309)	-	-	(605,620)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვლილებები, როგორცაა ვალუტის გაცვლითი კურსები, საკრედიტო საპროცენტო განაკვეთები და აქციების ფასები, დააზარალებს კომპანიის შემოსავალს ან ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებას. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების ექსპოზიციის მართვა და კონტროლი მისაღებ პარამეტრებში, შემოსავლის ოპტიმიზაციის პარალელურად.

სავალუტო რისკი

უცხო ვალუტასთან დაკავშირებული რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულად ნაკადები იქნება ცვალებადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებების გამო. კომპანიის ექსპოზიცია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად ეხება აშშ დოლარში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს."

სავალუტო რისკის ზეგავლენა

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, მენეჯმენტი აწესებს შეზღუდვებს სავალუტო კურსთან მიმართებით და მთლიანი ექსპოზიციის დონეზე. უცხოური სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 23	ფული და ფულის ექვივალენტები	საიჯარო ვალდებულება	სულ
დოლარი	-	408,396	408,396

31 დეკემბერი 22	ფული და ფულის ექვივალენტები	საიჯარო ვალდებულება	სულ
დოლარი	1,337	642,942	644,279

შპს „რესფონსაბილითი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება/ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა გაცვლითი კურსების შესაძლო გონივრული ცვლილებების მიმართ. გამოყენებულია ბალანსის შედგენის თარიღის კურსები. სხვა ყველა ცვლადი მუდმივია:

12/31/2023	გავლენა მოგება-ზარალზე
დოლარის გამყარება 10%-ით	40,840
დოლარის გაუფასურება 10%-ით	(40,840)

12/31/2022	გავლენა მოგება-ზარალზე
დოლარის გამყარება 10%-ით	64,428
დოლარის გაუფასურება 10% - ით	(64,428)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები ძირითადად გავლენას ახდენს სასესხო მოთხოვნებსა და ვალდებულებებზე და ცვლის მათ სამართლიან ღირებულებას (ფიქსირებულ განაკვეთიანი ვალი) ან მომავალ ფულად ნაკადებს (ცვლად განაკვეთიანი ვალი). მენეჯმენტი არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმის შესახებ, რამდენი უნდა იყოს კომპანიის ექსპოზიცია მუდმივი ან ცვლადი განაკვეთების მიმართ.

18. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვანი სამართალწარმოების პროცესში. მენეჯმენტის მოსაზრებით, კომპანიას არ ექნება მნიშვნელოვანი ზარალი და, შესაბამისად, ამ სპეციალური დანიშნულებით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი ანარიცხი არ გაკეთებულა.

საოპერაციო გარემო- განვითარებულ ბაზრებთან შედარებით საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება დაკავშირებულია დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებთან. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები გავლენას ახდენს ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე საქართველოში. საქართველოს მომავალი ეკონომიკური კურსი დამოკიდებულია მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, სამართლებრივ მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც უნდა იყოს გაცხადებული ფინანსურ ანგარიშგებაში.